



საზოგადოებრივი აუდიტის სამსახური განვითარების სტრატეგია 2018-2022


მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის

ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად



ღირებულებები

დამოუკიდებლობა

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებს

პროფესიონალიზმი

ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ მაღალი პროფესიული სტანდარტების, კეთილსინდისიერებისა და ეთიკის შესაბამისად

ობიექტურობა

ჩვენი საქმიანობა ემყარება სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს

გამჭვირვალობა

ჩვენ ვართ ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე და უზრუნველყოფთ შესაბამისი ინფორმაციის საჭაროობას



თანამშრომლობა პარტნიორებთან

მჭიდრო თანამშრომლობა პარტნიორებთან აძლიერებს აუდიტის წვლილს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების პროცესში



პარლამენტი

- პარლამენტი აუდიტის მიგნებებისა და რეკომენდაციების უმთავრესი მომხმარებელია
- საპარლამენტო კომიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება სას-ის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია



მთავრობა

- სას მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მთავრობას ბიუჯეტის შესრულების პროცესისა და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებაში
- სას მონაწილეობს საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ პროექტებსა და ღონისძიებებში და არის პროფესიული საბჭოების წევრი



საზოგადოება

- სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორი ხელს უწყობს საჯარო ფინანსების გამჭვირვალობას და აუდიტორული პროცესის გაძლიერებას
- შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სას-ის, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით



დონორები

- დონორები ხელს უწყობენ სას-ის ინსტიტუციურ განვითარებას და დამოუკიდებლობის გაძლიერებას
- EU, GIZ, მსოფლიო ბანკი, USAID, სხვა ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციები



საერთაშორისო ექსპერტების შეფასების შედეგები




სას-ის საქმიანობის შეფასება განხორციელდა ევროკავშირის პროექტის - „სას-ის ინსტიტუციური გაძლიერება“ ფარგლებში,
SAI – PMF მეთოდოლოგიის შესაბამისად




მონაწილეობა სტრუქტურა

ქველი სტრუქტურა



ახალი სტრუქტურა



განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის მიზანი:

- არაეფექტიანობის შემცირება და შიდა კონტროლის გაუმჯობესება
- აუდიტის პროცესში რისკებისა და ხარისხის უკეთესი მართვა



განვითარების სტრატეგია 2018-2022

განვითარების სტრატეგიის საფუძვლები:

- მისია, ხედვა და ღირებულებები
- ძირითადი პარტნიორების მოთხოვნები და მოლოდინები
- საერთაშორისო ექსპერტების შეფასების შედეგები
- EU-საქართველოს (EGA) პოლიტიკის მატრიცის მოთხოვნები
- სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მოლოდინები

სტრატეგიული მიზნები:

დამოუკიდებლობისა
და მანდატის
გაძლიერება

მაღალხარისხიანი
აუდიტორული საქმიანო-
ბის შედეგად საჯარო
ფინანსების მართვის
თვისობრივი გაუმჯო-
ბესება

ძირითადი
პარტნიორების
ჩართულობის
გაძლიერება

მმართველობის
სისტემის გაძლიერე-
ბით ეფექტურობის
ამაღლება

თანამშრომელთა
პროფესიული
განვითარება



შიდა გამოწვევები



აუდიტით დაუზიანის მაჩვენებლის გაზრდა

- ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის გაზრდა სახელმწიფო საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ჩათვლით
- შემოსავლების აუდიტის შესაძლებლობების გაძლიერება
- 2020 წლისთვის მთავრობის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედეგად აუდიტის მასშტაბის გაფართოება



შიდა კონტროლის გაძლიერება

- EU „სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის“ (PIFC) პრინციპების შესაბამისად
- მეთოდოლოგიური ბაზისა და ეთიკის ნორმების გაუმჯობესება
- ეფექტური ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტებთან (ISSAIs) შესაბამისად



აუდიტის ანგარიშების აღქმადობის გაუმჯობესება

- აუდიტის მიგნებებისა და რეკომენდაციების აღქმადობის გაუმჯობესება
- პარტნიორებთან კომუნიკაციის გაძლიერება



IT ტექნოლოგიები და IT უსაფრთხოება

- IT აუდიტის შესაძლებლობების გაძლიერება
- IT უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება

სტრატეგიული მიზნები

მიზანი 1: დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (1)

ამოცანა 1:

დამოუკიდებლობის გაძლიერება

KPI 1

ორგანული კანონის
ამოქმედება, რომელშიც
განმტკიცდება სას-ის
დამოუკიდებლობის
გარანტიები

KPI 2

დამოუკიდებლობის
დამატებითი ნორმების
გათვალისწინება სას-
ის საკანონმდებლო
ჩარჩოში

2017 წლის ბოლოს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები ანიჭებს სას-ის კანონს ორგანული კანონის სტატუსს და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. განახლებული კონსტიტუცია ძალაში შევა ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე

საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაცია დამოუკიდებელია ადამიანური რესურსების მართვის და დასაქმების პირობების განსაზღვრაში



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 1: დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (2)

ამოცანა 2:

ფართო მანდატი და ინფორმაციაზე წვდომა

KPI 1

საკანონმდებლო
ცვლილებების
საფუძველზე ბიუჯეტის
შემოსავლების აუდიტის
ჩატარების მანდატის
განსაზღვრა

KPI 2

საკანონმდებლო
ცვლილებების
საფუძველზე საჭირო
ინფორმაციაზე
შეუზღუდავი წვდომის
განსაზღვრა

საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების მანდატი უნდა მოიცავდეს შემოსავლების აუდიტს

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ლიმას დეკლარაციის მიხედვით, მანდატის ეფექტურად შესასრულებლად, უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა აუდიტის ამოცანებთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 2: მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის უზრუნველყოფა საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება (1)

ამოცანა 1:

აუდიტის ხარისხის გაძლიერება

KPI 1

აუდიტების ჩატარება
განახლებული
მეთოდოლოგიების
შესაბამისად

KPI 2

ხარისხის
უზრუნველყოფის
პროცედურების
განახლება და დანერგვა

KPI 3

ხარისხის უზრუნველყოფის
პროცედურებით
შემონშეული აუდიტების
რაოდენობის გაზრდა

სას მიზნად ისახავს ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტების მეთოდოლოგიური ბაზის გადახედვასა და განახლებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

- დაინერგება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ყველა ტიპის აუდიტისთვის
- შემუშავდება და დაინერგება IT აუდიტის პროცედურები



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 2: მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება (2)

ამოცანა 2:

აუდიტორული საქმიანობის შედეგად მაღალი ღირებულების შექმნა

KPI 1

სახელმწიფო
ბიუჯეტის
დაფარვის გაზრდა

KPI 2

სტრატეგიული დაგეგმვის
ანალიტიკური შესაძლებლობების
გაძლიერება; რისკზე დაფუძნებული
შეფასებების გაუმჯობესება

KPI 3

ეფექტიანობის აუდიტების
რაოდენობის გაზრდა

KPI 4

რეკომენდაციების
შესრულების
მაჩვენებლის გაზრდა

მანდატთან დაკავშირებული ხარვეზების
აღმოფხვრა, ანალიტიკური საქმიანობის
განვითარება და აუდიტის მართვის სისტემის
(AMS) დანერგვა განაპირობებს შემდეგი
ამოცანების მიღწევას:

- სექტორული დაფარვის მაჩვენებლის გაზრდას
მსხვილი ასიგნებებისა და მაღალრიცხიანი
სფეროების მიხედვით
- სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის შედეგად
მიღებული სარგებლის გაზრდას

იგეგმება რეკომენდაციების შესრულების
მონიტორინგის სისტემის გადახედვა და
გაუმჯობესება



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 3: ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება (1)

ამოცანა 1:

პარლამენტთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

KPI 1

საპარლამენტო
კომიტეტების
მიერ განხილული
ანგარიშების
რაოდენობის გაზრდა

აქტიური თანამშრომლობა პარლამენტთან აუდიტის
ანგარიშების აღქმადობის გასაუმჯობესებლად

პარლამენტთან პერიოდული შეხვედრებისა და გან-
ხილვების გამართვა მნიშვნელოვანი აუდიტის მიგნებე-
ბის გასაცნობად



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 3: ძირითადი პანდემიკის ჩართულობის გაძლიერება (2)

ამოცანა 2:

მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესება

KPI 1

გაიზრდება „ბიუჯეტის
მონიტორის“
მომხმარებელთა
რაოდენობა

KPI 2

გაიზრდება მოქალაქეთა
აქტიურობა

KPI 3

მედიისა და
არასამთავრობო
სექტორისთვის
გაიმართება სემინარები
და სამუშაო შეხვედრები

სამსახურმა შეიმუშავა მოქალაქეთა ჩართულობის
სტრატეგია და სამოქალაქო სექტორთან ერთად
ჩამოაყალიბა საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი

სამსახური გეგმავს გაზარდოს „ბიუჯეტის მონიტო-
რის“ შესაძლებლობები დონორებისა და პარტნიო-
რების დახმარებით

შენიშვნა: „ბიუჯეტის მონიტორი“ არის ანალიტიკური პორტალი/ვებგვერდი, რომელზეც მარტივად აღქმადი სახით
თავმოყრილია ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაცია



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 4: მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტურობის ამაღლება (1)

ამოცანა 1:

შიდა კონტროლის სისტემის გაძლიერება

KPI 1

შიდა კონტროლის
სისტემის
საჭიროებების
შეფასება

KPI 2

შიდა კონტროლის
სისტემის
პროცედურების
შემუშავება და დანერგვა

KPI 3

შიდა კონტროლის
სისტემის შესახებ
თანამშრომლების
ცნობიერების ამაღლება

იგეგმება არსებული სისტემის ხარვეზების იდენტიფიცირება და EU „სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის“ (PIFC) პრინციპების შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა

ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და იმართოს საოპერაციო რისკები და გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 4: მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტურობის ამაღლება (2)

ამოცანა 2:

ინფორმაციული სისტემების გაძლიერება

KPI 1

აუდიტის მართვის
სისტემის დანერგვა

KPI 2

IT სტრატეგიის და
სამოქმედო გეგმის
შემუშავება და დანერგვა

KPI 3

საერთაშორისო
სტანდარტების (ISO
27000) შესაბამისი IT
უსაფრთხოების პოლიტიკისა
და პროცედურების შემუშავება
და დანერგვა

აუდიტის მართვის სისტემა (AMS) შესაძლებელს ხდის აუდიტის სრული პროცესის ელექტრონულ მართვას

აუდიტის მართვის სისტემის დანერგვა დაიწყო 2018 წელს და მომავალ წლებში სრულად ჩაანაცვლებს არსებულ აუდიტის პროცესს

შემუშავდება და დაინერგება IT უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები. ჩამოყალიბდება IT დეპარტამენტი



სტრატეგიული მიზნები

მიზანი 5: თანამშრომელთა პროფესიული განვითარება (1)

აქოცანა 1:

თანამშრომელთა შუფასება

KPI 1

თანამშრომელთა
შუფასების სისტემის
შემუშავება და დანერგვა

შემუშავდება თანამშრომელთა შუფასების
სისტემა, რომელიც დაეფუძნება აუდიტორული
და არააუდიტორული მიმართულებებისათვის
შედგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და
მაჩვენებლებს

აღნიშნული შუფასების სისტემაზე დაყრდნობით
დაინერგება თანამშრომელთა წახალისებისა და
მოტივაციის გამჭვირვალე სისტემა

მიზანი 5: თანამშრომელთა პროფესიული განვითარება (2)

აქოცანა 2:

თანამშრომელთა განვითარების პოლიტიკა

KPI 1

თანამშრომელთა სწავლების
საჭიროებების განსაზღვრა;
კვალიფიკაციის ამაღლება
შესაბამისი ტრენინგებით

KPI 2

სერტიფიცირებული
აუდიტორების
რაოდენობის გაზრდა

სამსახური შემუშავებს და დანერგავს თანამშრო-
მელთა მობილობის, კვალიფიკაციის ამაღლების/
სწავლების და კარიერული წინსვლის პოლიტიკას

თანამშრომელთა საქმიანობის შუფასების სისტემა-
ზე დაყრდნობით, შემუშავდება თითოეული თანამშ-
რომლის პროფესიული განვითარების გეგმა



**სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ბანკოთაჩების სტრატეგია
2018-2022**

✉ sao@sao.ge

☎ (+995) 32 2 438 101

📍 ქ. თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96

www.sao.ge